ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 15 თებერვლის სხდომის

ოქმი N 4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 15 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 26.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტების დამტკიცება
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტების დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ მაგდა ალანიას. ქალბატონმა მაგდამ აღნიშნა, რომ შეიქმნა ფაკულტეტზე მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამების კომიტეტები თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკმებრის №153/2017 დადგენილების "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ" შესაბამისად.

. სულ საგანმანათლებლო პროგრამების 11 კომიტეტი შეიქმნა: 8 კომიტეტი ფარავს ფაკულტეტის 8 დეპარტამენტში მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამებს და დამატებით 3 კომიტეტი შეიქმნა ეკოლოგიის საბაკალავრო, ქართულ-ფრანგული კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამებისთვის (შემადგენლობა - იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამების 11 კომიტეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის, მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების, კომპიუტერული მეცნიერებების (ქართულ-ფრანგული) და ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში შესატანი ცვლილებები (დეტალურად იხ. დანართი 2).
ქალბატონმა მაგდა ალანიამ საბჭოს წევრებს ასევე აცნობა, რომ ამ ცვლილებების შეტანის გარდა, მოხდა ავტორიზაციის მზადების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების გასწორება და რეალური ლექტორების ასახვა ფაკულტეტზე მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამების კურიკულუმებსა და სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანას, ასევე ფაკულტეტზე მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამებში ტექნიკურის ხარვეზების გასწორების და რეალური ლექტორების ასახვის საკითხებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეტანილ იქნას ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 2); ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში გასწორდეს ტექნიკურის ხარვეზები და აისახოს რეალური ლექტორები.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი